



შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი


ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები,
შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა
(წესი)

მუხლი 1.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის (შემდგომში კოლეჯი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს კოლეჯის ადმინისტრაციის, სტრუქტურული ერთეულების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების პროფესიული განვითარების და სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემატურ შეფასებას. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება შიდა და გარე მექანიზმები, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, განვითარება და სრულყოფა.

შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

დასახული მიზნების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ე.წ. PDCA მიდგომას:



P – Plan - დაგეგმე;

D – Do - განახორციელე;

C – Check - შეამოწმე;

A – Act - განავითარე .

აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

P – Plan - დაგეგმე- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მოკლე და გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივები და მათი მიღწევის გზები;

D – Do - განახორციელე - შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

- ატარებს სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს;
- შეიმუშავებს გამოკითხვის (სტუდენტის/მსმენელის, კურსდამთავრებულის, პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, დამსაქმებლის) ფორმებს;
- ატარებს სტუდენტთა/მსმენელთა ანონიმურ გამოკითხვას სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მოდულების განხორციელების ხარისხის, პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის, სტუდენტური სერვისებისა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის, ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს და რესურსების და სხვ. გამოკვლევის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში ახდენს სტუდენტების/მსმენელების ინტერვიუებას;

- ატარებს პროფესიული მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანონიმურ გამოკითხვას პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის კუთხით;
- ატარებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ანონიმურ გამოკითხვას. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით.
- ახდენს სტუდენტთა/მსმენელთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს;
- ამოწმებს საბიბლიოთეკო ფონდის და მოდულებში მითითებულ ინ ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობას;
- ახორციელებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

C – Check - შეამოწმე - ამოწმებს სასწავლო პროცესში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ სწავლისა და სწავლების დონის ამაღლების მიზნით შესრულებულ სამუშაოს, სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხს; სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწმდება:

- **საგანმანათლებლო პროგრამები;**
საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას მოწმდება შესაბამისობა: სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნების; სტუდენტთა/მსმენელთა მიღწევების შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შესაბამისობა; სწავლების მეთოდების პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა პროგრამასთან; პროგრამის უზრუნველყოფა ადამიანური რესურსებით და სხვ.
- **პროგრამის კომპონენტები;**
პროგრამის კომპონენტების შეფასებისას მოწმდება: საათების განაწილება; სწავლების მეთოდების შესაბამისობა სასწავლო კურსის მიზნებთან და მოსალოდნელ შედეგებთან; სწავლის მიზნების, სასწავლო თემატიკისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა; თემატიკის შინაარსისა და მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისობა; სტუდენტის/მსმენელის მიღწევათა შეფასების გამჭვირვალობა და მრავალკომპონენტურობა, პროგრამის/მოდულის მიზნებისა და თემატიკის შესწავლის შედეგად შესაბამისი კომპეტენციების მიღწევა არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით და სხვ.
- **სასწავლო პროცესი;**
სასწავლო პროცესის შეფასებისას მოწმდება: პროგრამით განსაზღვრული სასწავლო ფორმატისა და პირობების შესაბამისობა მიმდინარე სასწავლო პროცესთან; სტუდენტთა/მსმენელთა უზრუნველყოფა მხარდაჭერის სერვისით; სასწავლო პროცესის სრულყოფილად მიმდინარეობის უზრუნველყოფა და სხვ.

- **პროგრამის განმახორციელებელი /პროფესიული მასწავლებელი;**

პროგრამის განმახორციელებლის/პროფესიული მასწავლებლის შეფასებისას მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ შესრულებული აქტივობები.

- **კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.**

მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შიდა შემოწმებისას ხდება მისი შედარება საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ აუცილებელ რესურსებთან. შემოწმებას ექვემდებარება სასწავლო ფართი (აუდიტორიები, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი და სხვ.) და შესაბამისი ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, კომპიუტერული ტექნიკა (არსებობა, გამართული მუშაობა, ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის და სხვ.), საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ინტერნეტი და სხვ.), ვებ-გვერდი.

შემოწმების შედეგების ანალიზი წარედგინება დირექტორს.

A – Act - განავითარე - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებასა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასკვნების და რეკომენდაციების წარდგენას დირექტორისათვის და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

- ანონიმური გამოკითხვების და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გეგმავს სასწავლო პროცესისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს და ამოწმებს ჩასატარებელი ღონისძიებების დროულად შესრულებას;
- ადგენს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების განახლება-სრულყოფის საჭიროებას და ამოწმებს მისი საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკასთან შესაბამისობას;
- ადგენს საბიბლიოთეკო ფონდის შევსება-განახლების საჭიროებას.
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში, მათი საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში შესატანი ცვლილებების შესახებ;

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, კოლეჯის საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში შესატანი ცვლილებების შესახებ;
- ანალიზებს ჩატარებული შემოწმებების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის და სტუდენტების/მსმენელების, პერსონალის და სხვ. ანონიმური გამოკითხვების შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური: სტუდენტთა/მსმენელთა და პერსონალის და სხვ. ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების შედეგებს აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
- მოდულების შეფასების შედეგებს აცნობს პროგრამის ხელმძღვანელს და მოდულის განმახორციელებელს.
- სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
- კონტროლს უწევს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას და მიღწეულ შედეგებს და სხვ.
- რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩატარებული ე.წ. SWOT-ანალიზი.

მუხლი 2

კოლეჯში სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა აღნიშნულ პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზანია: სასწავლო პროცესზე დასწრება, კითხვარების შეგროვება და ანალიზი, გარე მხარდაჭერის ჯგუფისთვის ანგარიშის მომზადება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების

პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რის შემდგომაც ხორციელდება აღნიშნული შედეგების და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის რეკომენდაციების განხილვა და შესაბამისი მოხსენების მომზადება. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული თითოეული აქტივობა ფორმდება სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი მოქმედებს წინამდებარე წესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, დაწესებულების შინაგანაწესისა და სხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად და პასუხისმგებელია დირექტორის წინაშე.

მუხლი 3

კოლეჯში გარკვეული პერიოდულობით (პერიოდულობა განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ) იგეგმება შეხვედრები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. აღნიშნულ შეხვედრათა მიზანია პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში და მათ შემდგომ განვითარებაში.

მუხლი 4

წინამდებარე წესს ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი.

წინამდებარე წესში ცვლილებები და/ან დამატებები ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

წინამდებარე წესის დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

- დანართი 1.** შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე და შეფასების პროცესზე პერიოდული დასწრების შედეგების ამსახველი
- დანართი 2.** შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დასწრების შედეგების ამსახველი
- დანართი 3.** პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კითხვარი
- დანართი 4.** პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებელის კითხვარი
- დანართი 5.** კურსდამთავრებულის გამოკითხვის ფორმა
- დანართი 6.** დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი
- დანართი 7.** პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა დამოკიდებულება კოლეჯსა და მისი ცალკეული ასპექტებისადმი, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების, სწავლა-სწავლების პროცესების მიმართ
- დანართი 8.** ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შეფასება

დანართი 9. კმაყოფილების კვლევის კომპლექსური გამოკითხვა (ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი)

დანართი 10. პროფესიული მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლის კმაყოფილების კვლევა

დანართი 11. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა ჩართულობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესებში

დანართი 12. პროგრამის შეფასების ინდიკატორები



**შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ თეორიულ და პრაქტიკულ
მეცადინეობებზე და შეფასების პროცესზე პერიოდული
დასწრების შედეგების ამსახველი**

ოქმი#

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: _____

მოდულის დასახელება: _____

პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი: _____

თეორიული მეცადინეობა

პრაქტიკული მეცადინეობა

შეფასება

1 განსახილველი თემა შესაბამისობაშია კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ თემატიკასთან

დიახ არა

2 პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია კალენდარულ გეგმასთან და მოდულთან

დიახ არა

3 გამოყენებული სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია კალენდარულ გეგმასთან და მოდულთან

დიახ არა

4 პროცესი მიმდინარეობს სტუდენტთა აქტიური ჩართულობით

დიახ

არა

5 სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი საათები საკმარისია

დიახ

არა

რეკომენდაცია: _____

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები:

1. _____

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

2. _____

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

თარიღი: _____

(რიცხვი, თვე, წელი)

**შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამაზე
და
პროფესიული გადამზადების პროგრამაზე
დასწრების შედეგების ამსახველი**

ოქმი#

პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის
დასახელება: _____

პროგრამის განმახორციელებლის სახელი, გვარი: _____

თეორიული მეცადინეობა

პრაქტიკული მეცადინეობა

შეფასება

3 განსახილველი თემა შესაბამისობაშია გეგმით გათვალისწინებულ თემატიკასთან

დიახ

არა

4 პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების
მეთოდები შესაბამისობაშია გეგმასთან.

დიახ

არა

3 გამოყენებული სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია გეგმასთან და პროგრამასთან

დიახ

არა

4 პროცესი მიმდინარეობს სტუდენტთა/მსმენელთა აქტიური ჩართულობით

დიახ

არა

5 სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი საათები საკმარისია

დიახ არა

რეკომენდაცია: _____

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები:

1. _____

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

2. _____

თარიღი: _____

(რიცხვი, თვე, წელი)

პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კითხვარი

მოდულის/პროგრამის დასახელება	
პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი	

გთხოვთ X-ით აღნიშნოთ თქვენთვის მისაღები პასუხი. საჭიროების შემთხვევაში გააკეთეთ კომენტარი/რეკომენდაცია.

№	კითხვები	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი /რეკომენდაცია.
1. მომზადება					
1.	კოლეჯმა მომაწოდა ინფორმაცია სწავლების შესახებ				
2.	გავეცანი სწავლის შედეგებს				
3.	გავეცანი შესრულების კრიტერიუმებს				
4.	გამაცნეს, თუ როგორ მოხდება ჩემი მიღწევების შეფასება მოდულის/პროგრამის ფარგლებში				
5.	ვფიქრობ, რომ მოდულის/პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამოადგება მომავალ პროფესიულ საქმიანობაში				
6.	ვიცნობ მთლიანობაში პროგრამას და შესაბამის სასწავლო გეგმას				

2. სასწავლო პროცესი				
7.	პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი გასაგებად ხსნის მასალას			
8.	სწავლის პროცესში ვიღებ საჭირო დახმარებას და კონსულტაციას			
9.	პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი სისტემტურად იძლევა შეფასებას, რჩევებსა და რეკომენდაციებს ჩემს მიღწევებთან დაკავშირებით			
10.	სასწავლო პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს			
11.	სასწავლო პროცესზე გათვალისწინებული საათები საკმარისია პრაქტიკული უნარების დასაუფლებლად?			
3. რესურსები და სასწავლო გარემო				
12.	შემოთავაზებული სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) აკმაყოფილებს ჩემს სასწავლო საჭიროებას.			
13.	სასწავლო რესურსები სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) ჩემთვის ხელმისაწვდომია			
14.	სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები მთელი ჯგუფისათვის საკმარისია (მოდულის სწავლებისათვის) - არ გვაქვს პრობლემა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით			
15.	სასწავლო აუდიტორიები (ლაბორატორიები, სახელოსნოები) მოდულის მიზნების შესაბამისადაა აღჭურვილი			

16.	გაგაჩნიათ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება? (შემოხაზეთ „დიახ“ ან „არა“)				დიახ“ შემთხვევაში, გთხოვთ დააკონკრეტოთ:
კომენტარი:					

გთხოვთ გახაზოთ ქვემოთ მოცემულ პასუხებიდან ერთ-ერთი:
<ul style="list-style-type: none"> ა) ყველა მეცადინეობას დავესწარი ბ) მაქვს უმნიშვნელო გაცდენები გ) თითქმის ნახევარს ვაცდენ დ) უმეტეს შემთხვევაში ვერ ვახერხებ დასწრებას

კითხვარის შევსების თარიღი:

პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის კითხვარი

პროგრამის დასახელება	
მოდულის დასახელება (ივსება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა	
პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი , საკონტაქტო ინფორმაცია	

N	კითხვები	დიახ	ნაწილობრივ	არა	შენიშვნები/რეკომენდაციები
1.	იცნობთ თუ არა სრულად აღნიშნულ პროგრამას?				
2.	გაქვთ თუ არა თქვენი ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლების გამოცდილება?				
3.	პირადად მონაწილეობდით თუ არა სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში?				

4.	პირადად მონაწილეობდით თუ არა კალენდარული გეგმის შემუშავების პროცესში?				
5.	მოახდინეთ თუ არა სასწავლო გეგმის ადაპტირება შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების საჭიროებებისთვის?				
6.	მისაღებია თუ არა პროგრამის სტრუქტურა?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები მოდულის სტრუქტურასთან დაკავშირებით:
7.	გასაგებია თუ არა პროგრამის შინაარსი?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, დააკონკრეტეთ, წარმოადგილეთ თქვენი რეკომენდაციები
8.	საჭიროებს თუ არა პროგრამის ნაწილები დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას?				„ნაწილობრივ“ ან „დიახ“ პასუხის შემთვევაში, დააფიქსირეთ მოდულის რომელი ნაწილი საჭიროებს დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას?
9.	თქვენის აზრით, სწორადა არის განსაზღვრული გავლის წინაპირობები?				თქვენი რეკომენდაციები მოდულის გავლის წინაპირობებთან დაკავშირებით.

10.	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები კალენდარული გეგმის შემუშავებისას?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
11.	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები შეფასების დაგეგმვისას?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
12.	შეესაბამება თუ არა რეკომენდებული თემატიკა მისაღწევ სწავლის შედეგებს?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
13.	რამდენად შეესაბამება რეკომენდირებული სწავლების მეთოდები მისაღწევ სწავლის შედეგებს?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
14.	რამდენად შეესაბამება მტკიცებულებები დასადასტურებელ სწავლის შედეგებს?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები

15.	რამდენად შეესაბამება რეკომენდებული შეფასების ინსტრუმენტები დასადასტურებელ შესრულების კრიტერიუმებს?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
16.	ადეკვატურია თუ არა საათების ჯამური რაოდენობა დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
17.	ადეკვატურია თუ არა საათების გადანაწილება სწავლის შედეგებისა და დატვირთვის ფორმების (ლექცია, პრაქტიკული, დამოუკიდებელი, შეფასება) მიმართ				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
18.	არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის/პროგრამის დანერგვის პროცესი საჭირო მასალებითა და ინვენტარით?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
19.	არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის/პროგრამის დანერგვის პროცესი საგანმანათლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები)				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, დააკონკრეტეთ რა სახელმძღვანელო გესაჭიროებათ

20.	მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ხომ არ საჭიროებთ რაიმე საკითხებზე დამატებით ტრენინგს/ კონსულტირებას?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტეთ, რომელ საკითხებთან დაკავშირებით საჭიროებთ დამატებით ტრენინგსა და კონსულტირებას?
მოგვთავაზეთ სარეკომენდაციო წინადადებები პროგრამასთან დაკავშირებით დამატებით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე.					
<i>საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინეთ დამატებითი რეკომენდაცია/კომენტარი, წინადადებები:</i>					

კითხვარის შევსების თარიღი: _____

მასწავლებლის ხელმოწერა: _____

კურსდამთავრებულის გამოკითხვის ფორმა

გთხოვთ, შეავსოთ აღნიშნული ფორმა და ობიექტურად გაცეთ პასუხი ქვემოთ მოცემულ კითხვებს, რათა მივიღოთ რეალური ინფორმაცია და აღნიშნულის საფუძველზე განვახორციელოთ შესაბამისი ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/პროფესიული მომზადები/პროფესიული გადამზადების პროგრამაში

პროგრამა/, რომელსაც აფასებთ

სწავლების საფეხური _____

1. რომელ წელს დაამთავრეთ ზემოთ აღნიშნული პროგრამა? _____
2. ხართ თუ არა დასაქმებული? _____
3. მუშაობთ თუ არა თქვენი სპეციალობით? _____
4. რომელ ორგანიზაციაში მუშაობთ და რა თანამდებობაზე?

5. რა არის თქვენი მოვალეობები აღნიშნულ თანამდებობაზე?

6. ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციებიდან ხუთ ბალიანი სისტემით როგორ შეაფასებდით თქვენს პროფესიულ შესაძლებლობებს?

	კომპეტენცია	1	2	3	4	5
1	სფეროს ფართო ცოდნა და გაცნობიერება					
2	სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი					
3	დასკვნის უნარი					
4	კომუნიკაციის უნარი					
5	პროფესიისათვის საჭირო შემდგომი განვითარებისა და სწავლის უნარი					
6	პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრების უნარი					

7. თქვენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციებიდან რომლების ფლობა არის უფრო მნიშვნელოვანი?

8. თქვენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციებიდან რომლების ფლობა არის ნაკლებად მნიშვნელოვანი?

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო მოდულებისაგან, თქვენიაზრით (ივსება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემთხვევაში)

ა. რომელი მოდულების სწავლება არის მნიშვნელოვანი პროგრამის ფარგლებში?

ბ. რომელი მოდულის შესწავლას უნდა მიექცეს უფრო მეტი ყურადღება?

გ. რომელი მოდულის სწავლება არის ნაკლებად ღირებული?

10. არსებობს ახალი მოთხოვნები აღნიშნულ სფეროში, რომლებიც საჭიროაა ისახოს პროგრამაში?

11. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურად არიან მომზადებულნი ჩვენი კურსდამთავრებულები პროფესიული საქმიანობისათვის და რა პრობლემებს ხედავთ ამ კუთხით?

შენიშვნები და შეთავაზებები

გმადლობთ რომ დაგვითმეთ დრო!

დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი

პროგრამის დასახელება _____

საფეხური _____

სახელი გვარი _____

დაკავებული თანამდებობა _____

1. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება სტუდენტის/მსმენელის მიერ
გამომუშავებული პროფესიული უნარები დასაქმების სფეროს

- შეესაბამება
- არ შეესაბამება
- ნაკლებად შეესაბამება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია:

2. დასაქმებისთვის აუცილებლობად მიგაჩნიათ თუ არა დამატებითი
სტაჟირების/პრაქტიკის გავლა

- კი
- არ
- სასურველია

დადებითი პასუხის შემთხვევაში განმარტეთ მიზეზები

3. შეესაბამება თუ არა პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენცია თქვენ დაწესებულებაში / ორგანიზაციაში შესაბამისი პოზიციისთვის დაწესებულ მოთხოვნებს.

შეესაბამება

არ შეესაბამება

ნაკლებად შეესაბამება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია:

4. თქვენი აზრით რამდენად საკმარისია პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის მოდულის ხანგრძლივობა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მიზნის მიღწევისათვის.

საკმარისია

არ არის საკმარისი

ნაწილობრივ საკმარისია

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია:

—

—

—

5. არის თუ არა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საკმარისად აღჭურვილი იმისათვის, რომ პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მისცეს პრაქტიკული მოდულით გათვალისწინებული უნარ ჩვევები?

საკმარისია

არ არის საკმარისი

ნაწილობრივ საკმარისია

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია:

—

—

—

6. რამდენად უზრუნველყოფს პროგრამა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის წარმატებით დასაქმებას და კარიერულ წინსვლას

უზრუნველყოფს

ვერ უზრუნველყოფს

ნაწილობრივ უზრუნველყოფს

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია:

—

—

10. დამატებითი შენიშვნები და რეკომენდაციები

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა დამოკიდებულება კოლეჯსა და მისი ცალკეული ასპექტებისადმი, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების, სწავლა-სწავლების პროცესების მიმართ

გამოკითხვა ანონიმურია.

1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება

N	კითხვები	1	2			
1.	რამდენად სრულადაა ასახული კატალოგში ინფორმაცია პროგრამის შესახებ					
2.	რამდენად უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია თქვენს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვნად ათვისებას					
3.	რამდენად სამართლიანია კოლეჯში მოქმედი სტუდენტის/მსმენელის სტატუსთან დაკავშირებული წესები					
4.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი სტუდენტის/მსმენელის სტატუსთან დაკავშირებული წესების დაცვას					
5.	რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესის ორგანიზებით?					
6.	რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯის პერსონალის მხრიდან სტუდენტებისადმი/მსმენელებისადმი მოპყრობით (ყურადღება, თავაზიანობა, პატივისცემა და ა. შ.)					
7.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას					
8.	რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სერვისებით (ცნობის აღება, საჭირო საბუთებისა და ინფორმაციის მიღება, კონსულტაცია თქვენს უფლებებთან დაკავშირებით და ა. შ.)					
9.	რამდენად ხელმისაწვდომია ინფორმაცია კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ					

10.	რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები						
11.	რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯში არსებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტის/მსმენელის კონსულტირებისა და მხარდაჭერის/დახმარების მექანიზმებით						
12.	რამდენად ხელმისაწვდომია ინფორმაცია კოლეჯში მიღებული განათლების აღიარების წესების შესახებ						
13.	რამდენად ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ						
14.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების დაცვას						
15.	რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო ცხრილით						
16.	რამდენად ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები იმ დარგის სპეციფიკას, რომლის სპეციალისტიც უნდა გახდეთ						
17.	რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯში სტუდენტების/მსმენელების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სისტემით						
18.	ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ იმით, რომ სწავლობთ კოლეჯში						
19.	რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯის ადმინისტრაციის საქმიანობით						
20.	რამდენად კმაყოფილი ხართ თეორიული სწავლების აუდიტორიებით						
21.	რამდენად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები სწავლის შედეგების მიღწევას						
22.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯის ინფრასტრუქტურა შშმ/სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის/მსმენელებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას						
23.	რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობით						

24.	რამდენად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები შშმ/სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის სწავლის შედეგების მიღწევას						
25.	რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯში არსებული ერგონომიკული გარემოთი (განათება, გათბობა, კონდიციონერბა, დიზაინი და ა.შ.)						
26.	ხორციელდება თუ არა სტუდენტის/მსმენელის შეფასების შედეგების ანალიზი მათი მიღწევების გაუმჯობესების მიზნით						
27.	რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მისი განხორციელების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ						
28.	რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო მასალით						
29.	რამდენად უზრუნველყოფს თქვენს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლება იმას, რომ თქვენ სრულფასოვნად შეძლოთ მიღებული ცოდნის შესაბამისი სამსახურებრივი საქმიანობის შესრულება						
30.	ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ საგანმანათლებლო პროგრამით, რომელზეც სწავლობთ (მისი ყველა ასპექტის: სალექციო კურსების, მათი თანმიმდევრობის, შინაარსის, პრაქტიკის, დავალებების და ა.შ. გათვალისწინებით)						
31.	რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო ინვენტარით (დაფები, სასწავლო მაგიდები, პროექტორი და ა. შ.)						
32.	რამდენად კმაყოფილი ხართ შედეგებით, რომელსაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში აღწევთ						
33.	რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯის დამხმარე პერსონალის (მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება, დაცვა, დასუფთავება, პირველადი სამედიცინო დახმარება და ა.შ.) საქმიანობით						
34.	რამდენად ეფექტურია კოლეჯში მოქმედი შეფასების გასაჩივრების სისტემა						
35.	რამდენად ხშირად გიხდებათ ლოდინი საჭირო სერვისის მისაღებად						
36.	იღებთ თუ არა ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტის/მსმენელის						

	კონსულტირებისა და მხარდაჭერის/დახმარების მექანიზმების შესახებ						
37.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი თქვენს ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მისი განხორციელების გაუმჯობესების პროცესებში (იღებთ შეფასების კითხვარებს, ხდება თქვენი მოსაზრებებისა და საჭიროებების გათვალისწინება და ა.შ.)						
38.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი სტუდენტთა/მსმენელთა ინიციატივების მხარდაჭერას (კონფერენციებში, პროექტებში და ა. შ. მონაწილეობა)						
39.	დაცულია თუ არა უსაფრთხოების ნორმები						
40.	რამდენად კმაყოფილი ხართ საბიბლიოთეკო სივრცით						
41.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი სასწავლო პროცესის გარეშე აქტივობების (სპორტული, ხელოვნების, კულტურული, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებები) მხარდაჭერას						
42.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი იმას, რომ შესვენების პერიოდში სტუდენტმა/მსმენელმა თავი იგრძნოს კომფორტულად						
43.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი სტუდენტთა/მსმენელთა ინიციატივების მხარდაჭერას						
44.	რამდენად კმაყოფილი ხართ სხვა/დამატებითი სერვისებით (ჰიგიენა, უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარება და ა.შ.)						
45.	რამდენად კმაყოფილი ხართ საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობით (კომპიუტერების რაოდენობა, სიმძლავრე, ხარისხი, პროგრამული უზრუნველყოფა, შესაბამისი მომსახურება და ა.შ.)						
46.	რამდენად იცავს კოლეჯთან დადებული ხელშეკრულება თქვენს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს						
47.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობას (პრაქტიკები, სტაჟირება, შეხვედრები, კონსულტაციები და ა.შ.)						
48.	დაცულია თუ არა კოლეჯისა და პარტნიორი დაწესებულებების სასწავლო ლაბორატორიებში უსაფრთხოების ნორმები:						

49.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირებით ინფორმაციის უწყვეტად მოძიებას					
50.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან დაკავშირებით განახლებული ინფორმაციის მიწოდებას					
51.	კოლეჯში სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების/მსმენელების მხარდაჭერის მექანიზმების შეფასება					
52.	სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების/მსმენელების მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფის შეფასება					
53.	რამდენად ხელმისაწვდომია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების/მსმენელების მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ ინფორმაცია					

ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შეფასება

გამოკითხვა ანონიმურია

1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური ქულა

N	პარამეტრები					
1.	მდენად კომფორტულია ბიბლიოთეკაში არსებული გარემო					
2.	მდენად კმაყოფილი ხართ სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით/სისუფთავით ბიბლიოთეკაში (არის თუ არ არის მტვერი, გადაწმენდილია თუ არა აპარატურა და ა.შ.)					
3.	მდენად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში სასწავლო პროცესისთვის გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა?					
4.	მდენად საკმარისია ადგილების რაოდენობა ბიბლიოთეკაში					
5.	ქვთ თუ არა ბიბლიოთეკაში უკაბელო ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა?					
6.	მდენად კმაყოფილი ხართ ბიბლიოთეკით მთლიანობაში, მისი რესურსებისა და ფუნქციონირების ყველა ასპექტის გათვალისწინებით					
7.	მდენად კმაყოფილი ხართ ბიბლიოთეკის ერგონომიკული რემოთი (გათბობა, ვენტილაცია, განათება და ა. შ.)					
8.	მდენად იცავს ბიბლიოთეკა სამუშაო საათების განრიგს					
9.	მდენად ყურადღებიანია ბიბლიოთეკის პერსონალი					
10.	მდენად საკმარისია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები თქვენი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (ლიტერატურის მოძიება, გაცნობა, სასწავლო მასალის დამუშავება, საერთაშორისო ბაზებთან მუშაობა, ჯგუფური მუშაობა და ა.შ.)					
11.	მდენად კვალიფიციურად ახორციელებს ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი კონსულტირებას საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით					
12.	მდენად ხშირად სარგებლობთ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზით					
13.	მდენად ზრუნავს კოლეჯი ბიბლიოთეკის განვითარებაზე					
14.	მდენად ხშირად სარგებლობთ ბიბლიოთეკით?					

კმაყოფილების კვლევის კომპლექსური გამოკითხვა (ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი)

გამოკითხვა ანონიმურია.

ტარდება 2 წელიწადში ერთხელ

1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება

კითხვები						
1	ამდენად მისაღებია თქვენთვის კომუნიკაციის მექანიზმები კოლეჯის მმართველ რგოლებთან					
2	ამდენად კმაყოფილი ხართ ინვენტარით, რომელსაც იყენებთ					
3	ამდენად კმაყოფილი ხართ სხვა/დამატებითი სერვისებით (იგიენა, უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარება და ა.შ.)					
4	ამდენად იცავს კოლეჯთან დადებული ხელშეკრულება თქვენს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს					
5	ამდენად იცავს კოლეჯი თქვენთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს					
6	ამდენად მისაღებია თქვენთვის კოლეჯში არსებული სამუშაო გარემო ზოგადად					
7	ამდენად მისაღებია თქვენთვის კომუნიკაციის მექანიზმები სხვა პერსონალთან					
8	რადად თქვენ, რამდენად აქტიურად თანამშრომლობთ კოლეჯის სხვა პერსონალთან					
9	ამდენადაა დაცული კოლეჯში უსაფრთხოების ნორმები					
10	ამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯში არსებული ერგონომიკული გარემოთი (განათება, გათბობა, კონდიციონერება, დიზაინი და ა.შ.)					

11	მდენად კმაყოფილი ხართ თქვენს სამუშაო ოთახში არსებული ერგონომიკული გარემოთი (განათება, გათბობა, კონდიციონერა, დიზაინი და ა.შ.)					
12	მდენად შეესაბამება თქვენი მატერიალურ-ტექნიკური სამუშაო გარემო დადგენილ სტანდარტებს					
13	მდენად კმაყოფილი ხართ თქვენი სამსახურებრივი პოზიციით					
14	მდენად კმაყოფილი ხართ საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობით (კომპიუტერების რაოდენობა, სიმძლავრე, რისხი, პროგრამული უზრუნველყოფა, შესაბამისი მომსახურება და ა.შ.)					
15	მდენად მისაღებია თქვენთვის პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმები					
16	მდენად მისაღებია თქვენთვის პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები					
17	მდენად უზრუნველყოფს კოლეჯი იმას, რომ მუშაობის პერიოდში პერსონალმა თავი იგრძნოს კომფორტულად					
18	მდენად უზრუნველყოფს კოლეჯი თანამშრომელთა მიერ ეთიკის ნორმების დაცვას					
19	მდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ანაზღაურებით					
20	მდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯში მუშაობით					
21	მდენად ობიექტურად ხდება პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასება					
22	მდენად მისაღებია კოლეჯში მოქმედი პერსონალის საქმიანობის წამახალისებელი მექანიზმები					
23	მდენად უზრუნველყოფს კოლეჯი თქვენს მონაწილეობას მოქმედო გეგმის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში					
24	ქვენი უფლებამოსილების ფარგლებში, რამდენად ხართ ჩართული კოლეჯის გადაწყვეტილებების მიღების					

თუ შეუფასებელი დატოვებთ რომელიმე კითხვა, სასურველია აღწეროთ პრობლემა და პრობლემის მოგვარების საკუთარი ხედვა:

კოლეჯი მადლობას გიხდით გამოკითხვაში მონაწილეობისათვის.

პროფესიული მასწავლებლების კმაყოფილების კვლევა

1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება

N	კითხვები	1	2			5
1.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი ეთიკის ნორმების დაცვას					
2.	რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო ცხრილით					
3.	რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი პოზიციით					
4.	რამდენად უწყობს ხელს კოლეჯი პროფესიულ მასწავლებლებს შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და სასწავლო რესურსებით					
5.	რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესის ორგანიზებით					
6.	რამდენად მისაღებია ზოგადად თქვენთვის კოლეჯში არსებული სამუშაო გარემო					
7.	რამდენად მისაღებია თქვენთვის კოლეჯის ადმინისტრაციის კომუნიკაციის მექანიზმები პროფესიულ მასწავლებლებთან					
8.	რამდენად მისაღებია თქვენთვის პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმები					
9.	რამდენად კმაყოფილი ხართ თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორიებით					
10.	რამდენად იცავს კოლეჯი თქვენთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს					
11.	რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო მასალით					
12.	რამდენად კმაყოფილი ხართ სხვა/დამატებითი სერვისებით (ჰიგიენა, უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარება და ა.შ.)					
13.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი პერსონალის აკადემიურ თავისუფლებას					

14.	რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯის არასასწავლო დანიშნულების სივრცეებით (ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები და ა.შ.)					
15.	რამდენად კმაყოფილი ხართ საბიბლიოთეკო სივრცეებით					
16.	რამდენად იცავს კოლეჯთან დადებული ხელშეკრულება თქვენს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს					
17.	რამდენად ობიექტურად ხდება მასწავლებლის საქმიანობის ხარისხის შეფასება					
18.	რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო ინვენტარით (დაფები, მერხები, პროექტორი და ა. შ.)					
19.	რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სერვისებით (აუდიტორიის ან ლაბორატორიის მომზადება, ტექნიკური მომსახურება, პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ.)					
20.	რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯში არსებული ერგონომიკული გარემოთი განათება, გათბობა, კონდიციონერები, დიზაინი და ა.შ.					
21.	რამდენად მისაღებია თქვენთვის მასწავლებლების საქმიანობის მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები					
22.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი თქვენს მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში					
23.	ორადად თქვენ რამდენად აქტიურად თანამშრომლობთ კოლეჯის სასწავლო პერსონალის წარმომადგენლებთან სწავლების პროცესში					
24.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯის გარემო იმას, რომ შესვენების პერიოდში პერსონალმა თავი იგრძნოს კომფორტულად					
25.	რამდენად კმაყოფილი ხართ საინფორმაციო ტექნოლოგიური აღჭურვილობით (კომპიუტერების რაოდენობა, სიმძლავრე, ხარისხი, პროგრამული უზრუნველყოფა, შესაბამისი მომსახურება და ა.შ.)					

26.	ამდენად კმაყოფილი ხართ ბიბლიოთეკით (ელექტრონული ბაზები, წიგნები, სასწავლო მასალა, აღჭურვილობა და ა.შ.)					
27.	ექვენი დაკვირვებით, რამდენად აქტიურად თანამშრომლობენ კოლეჯის სასწავლო პერსონალის წარმომადგენლები ერთმანეთთან სწავლების პროცესში					
28.	ექვენი უფლებამოსილების ფარგლებში, რამდენად ხართ ჩართული კოლეჯის გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში					
29.	ამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი თქვენს მონაწილეობას კოლეჯის სამოქმედო გეგმის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში					
30.	რამდენად დაცულია კოლეჯის სასწავლო ბაზებში უსაფრთხოების ნორმები					
31.	რამდენად უწყობს ხელს კოლეჯი საერთაშორისო თანამშრომლობას (ერთობლივი პროექტები და სხვა)					
32.	რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ანაზღაურებით					
33.	რამდენად ეფექტურია კოლეჯში მოქმედი პერსონალის საქმიანობის წამახალისებელი მექანიზმები					
34.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი პერსონალის ინფორმირებას ეროვნული ან საერთაშორისო პროექტების შესახებ					
35.	პირადად თქვენ, ახორციელებთ თუ არა სასწავლო პროცესის გარეშე აქტივობებს (მაგალითად, წრეების ორგანიზება, კონკურსები, სტუდენტური საზოგადოებების ხელშეწყობა, კონსულტირება, ტრენინგების ჩატარება და სხვა.)					
36.	რამდენად გრჩებათ საკმარისი დრო პროფესიული განვითარებისათვის					
37.	ზრუნავს თუ არა კოლეჯი თქვენს პროფესიულ განვითარებაზე					

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა ჩართულობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესებში

გთხოვთ, შეავსოთ. 1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება

N	კითხვები	1	2			5
1.	იზიარებთ თუ არა კოლეჯის მისიას					
2.	შეესაბამება თუ არა პროგრამა (ზოგადად, მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით) საქართველოს შრომის ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მოთხოვნებს					
3.	შეესაბამება თუ არა პროგრამის მიზნები კოლეჯის მისიას?					
4.	მიღწევადია თუ არა პროგრამის მიზნები?					
5.	უზრუნველყოფს თუ არა პროგრამის სწავლის შედეგები კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე?					
6.	უზრუნველყოფს თუ არა პროგრამის სწავლის შედეგები კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას განათლების ბაზარზე (განათლების შემდგომი საფეხურის სეგმენტზე)?					
7.	უზრუნველყოფს თუ არა პროგრამაზე მიღების წინაპირობები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას?					
8.	უზრუნველყოფს თუ არა პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას?					

9.	უზრუნველყოფს თუ არა პროგრამა სტუდენტის/მსმენელის მიერ სათანადო პრაქტიკული უნარების ათვისებას/განვითარებას					
10.	უზრუნველყოფს თუ არა პროგრამა სტუდენტისათვის/მსმენელისათვის სათანადო ცოდნის გადაცემას					
11.	არის თუ არა პროგრამის მიზნები ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე					
12.	შეესაბამება თუ არა პროგრამის სწავლის შედეგები საქართველოს შრომის ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მოთხოვნებს					
13.	მისაღებია თუ არა თქვენთვის პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებლების ჩართვის მექანიზმები					
14.	უზრუნველყოფს თუ არა კოლეჯის რესურსები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას					
15.	უზრუნველყოფს თუ არა პროგრამა სტუდენტის/მსმენელის მიერ სათანადო პრაქტიკული უნარების გამომუშავებას/განვითარებას					
16.	უზრუნველყოფს თუ არა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების მეთოდები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას					
17.	უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტისათვის/მსმენელისათვის სათანადო ცოდნის გადაცემას					
18.	უზრუნველყოფს თუ არა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას					
19.	უზრუნველყოფს თუ არა სასწავლო მასალა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას					

20.	შეესაბამება თუ არა განსახილველად წარმოდგენილი პროგრამა (ზოგადად, მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით) საქართველოს შრომის ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მოთხოვნებს					
21.	რამდენად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები სწავლის შედეგების მიღწევას					
22.	რამდენად უზრუნველყოფს თქვენს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლება იმას, რომ თქვენ სრულფასოვნად შეძლოთ კვალიფიკაციის შესაბამისი სამსახურებრივი საქმიანობის შესრულება					
23.	ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ საგანმანათლებლო პროგრამით, რომელზეც სწავლობთ (მისი ყველა ასპექტის: სალექციო კურსების, მათი თანმიმდევრობის, შინაარსის, პრაქტიკის, დავალებების და ა.შ. გათვალისწინებით)					
24.	რამდენად კმაყოფილი ხართ შედეგებით, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აღწევთ					
25.	რამდენად მნიშვნელოვანია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის არჩეულ სპეციალობაში თეორიული ცოდნა					
26.	რამდენად მნიშვნელოვანია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის: სწავლის პერიოდში შესაბამის დაწესებულებაში გავლილი პრაქტიკული კომპონენტი					
27.	თქვენი შეფასებით, რამდენად განვითარდა საგანმანათლებლო პროგრამა მას შემდეგ, რაც კურსდამთავრებული გახდით:					
28.	რამდენად მნიშვნელოვანია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის					

	კურსდამთავრებულთათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევები	შეძენილი					
--	--	----------	--	--	--	--	--

პროგრამის შეფასების ინდიკატორები

1. პროგრამის დასახელება: _____

2. პროგრამის ხელმძღვანელი: _____

3. ეთანხმებით თუ არა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

4. შეესაბამება თუ არა პროგრამის მიზნები სწავლის შედეგებს:

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

5. შეესაბამება თუ არა პროგრამის შინაარსი პროგრამის მიზანს:

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

6. შეესაბამება თუ არა პროგრამის შინაარსი სწავლის შედეგებს

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

7. ეთანხმებით თუ არა კრედიტების განაწილებას :

ა) დიახ გ) არა

12. პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით:

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

13. პროგრამა უზრუნველყოფილია ფინანსურად;

ა) დიახ ბ) არა

რეკომენდაციები

